ბიძინა ჭყონია

საუკუნის ისტორია, ანუ ორპოლუსიანი საქართველო

(სატირულ - დრამატული მინი-პიესა, -- რამდენიმე ეპიზოდით, გზავნილია იმ თაობებისათვის, ვისაც არ უცხოვრია საბჭოურ ეპოქაში. პიესაში ჩართულია გამოჩენილი ქართველი პოეტების ლექსები, რომლებიც ადექვატურად ასახავენ მაშინდელ რეალობას)

თბილისი

2019

მოქმედების ადგილი რუსეთი და საქართველო XX -XXIს

,,ერის მამა“-- ,,ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“

ხალხის მასა -- ,,ძირს შავრაზმელი მემამულეები, გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს!“

საზოგადოებრივი მასმედია -- ,,რევოლუცია მძვინვარებს, ქვეყანა განუკითხაობამ მოიცვა! რუსეთი იაპონიასთან სამარცხვინო მარცხს განიცდის !“

ქართვლის დედა (შავმოსილი) -- ,,ხალხო, უბედურება დატრიალდა, ილია მოგვიკლეს!“

სოციალ-დემოკრატი (ირონიით) -- ,,ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივა!“

პირველი მსოფლიო ომი. რუსეთი ,,სამთა კავშირთან“ მარცხდება! ,,ტულინი“ რაზლივში იმალება! ქვეყანა ახალი რევოლუციის ზღვარზეა!

სოციალ-დემოკრატები -,,პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით! ჯარისკაცებო, ესროლეთ საკუთარ მთავრობას! ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან!“

თბილისი,1917 წლის თებერვალი. დეპეშა პეტროგრადიდან -- ,,მთავრობაძე გარდაიცვალა!“

ქართველი პატრიოტები -- ,,გვეშველა! აღვადგინოთ ნანატრი თავისუფლება! ქრისტიანული ზნეობა, ილიას ანდერძი ,,მამული, ენა, სარწმუნოება!“

სოციალ-დემოკრატები -- ,,საქართველო რუსეთის პროლეტარიატის გარეშე? -არა და არა!“

თბილისი, 1918 წლის 26 მაისი.

სოციალ-დემოკრატები--,,გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! დიდება მე-2 ინტერნაციონალს!

(ისმის გამაყრუებელი ტაში) .

პატრიოტები --???!!!

საქართველოში ჩამოდიან მე-2 ინტერნაციონალის ბელადები, კ. კაუცკი, რ. ლუქსემბურგი,

ე. ვანდერველდე და სხვები.

ევროპელი სოციალისტი სტუმრები -- ,, საქართველო სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფოა!“

მოსკოვი. 1920 წლის მაისი. რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტი გამოცხადებულ საზღვრებში.

თბილისი. 1921 წლის 25 თებერვალი.

ნაძირალა სოციალ-დემოკრატები -- ,,თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

მოჩანს ტრანსპარანტი, რომელზეც წარწერაა: ,,სალამი მესამე ინტერნაციონალს!“

ბათუმის საზღვაო პორტი, 1921 წლის მარტი.

სოციალ-დემოკრატები -- ,,ძაბრისქუდიანებმა“დაგვამარცხეს!” სცენიდან ,,თავქუდმოგლეჯილები“ გარბიან...,,ჩვენ მალე დავბუნდებით!“

თბილისი, 1922 წ.

პატრიოტები - ,,ქუდზე კაცი! ვაფრინოთ შიკრიკი გენუის კონფერენციაზე, დეპეშა ერთა ლიგას! ვუშველოთ ქვეყანას!“

ნაძირალა სოციალ-დემოკრატები -- ,,სიკვდილი ხალხის მტრებს! არ დაინდოთ მღვდლები და წურბელა კულაკები! რელიგია ხალხის ბანგია!“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი -- „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია!“

პატრიოტები (ჩურჩულით) -- ,,რამე გვეშველება? ვინ გვიშველის?“..

მოსკოვი, 1930-იანი წლების მეორე ნახევარი. ,,გამარჯვებული სოციალიზმი“. სცენაზეა კავკასიური გარეგნობის შავულვაშებიანი კაცი -- ,, ჩემი ბინა გაჩხრიკეს!“

იქვე მდგომი, ასევე კავკასიური გარეგნობის კაცი -- ,,დღეს შენი ბინა გაჩხრიკეს, ხვალ შეიძლება ჩემი ბინაც გაჩხრიკონ!“...

პირველი -- რევოლვერს იღებს და თავს იკლავს.

მეორე -- მას ცინიკურად დასცქერის --,,რუსეთი დიდია, მაგრამ ორ ქართველ ბელადს ვერ დაიტევს!“

საქართველოს პატრიოტები -- ,,ევროპას ჩვენთვის არ სცალია, გერმანია დაგვეხმარება ვითომ?“

მოსკოვი. ბოლშევიკები -- ,,ციმბირი გადაგვარებულ მოღალატეებს! პროლეტარიატის რისხვა ტროცკისტებს!“

40-იანი წლების დასაწყისი. მოსკოვი, კრემლის სასახლის ფონზე მოსჩანს ლოზუნგები: ,,ზა როდინუ!“ ,, ზა სტალინა!“ , ,,შენ ჩაეწერე წითელ არმიაში?“, ,,როდინა მატ ზავიოტ!“ და სხვა.

გუგუნებს საარტილერიო კანონადა.

დიქტატორი -- ,,დიახ, მე ქართველი ვარ, მაგრამ რუსმა ხალხმა მიშვილა და მას ღალატი არ ეგების! ბერლინში შეხვედრამდე!“

ბერლინი. 1945 წ. ეგოროვი და ქანთარია რეიხსტაგის თავზე წითელ დროშას აღმართავენ!

მოსკოვი. 1945წ. მაისი. წითელი მოედანი.

დიქტატორი -- ,,დიდება დიდ რუს ხალხს!“

მოსკოვი. 1950 წ. 1 მაისი. ცენტრალური რადიოთი გადაიცემა სიმღერა ,,მასკვა - პეკინ“.

მოსკოვი. 1953 წლის იანვარი. არლოვის აგარაკი. დიქტატორი იატაკზეა გაშხლართული. მის წინ მუხლებზე დაჩოქილია ,,დურაჩოკი“ და ტირის.

პენსნებიანი მამაკაცი (ცივად) -- ,,დიქტატორი მოკვდა და შენ მაგას გლოვობ?!“

ბოლშევიკები -- ,,უკომპრომისო ბრძოლა პიროვნების კულტს! აღვადგინოთ პარტიაში ლენინური პრინციპები! ჩვენ ლენინური გვარდია ვართ! სიკვდილი იმპერიალისტების აგენტსა და ავანტიურისტს!“ ,,ანტიპარტიული ჯგუფი“ მხილებულია!

ხალხში დაბნეულობაა.

თბილისი. 1956წ. 9 მარტი. ,,პიროვნების კულტთან“ დაკავშირებით მიტინგები და დემონსტრაციები იმართება. არაოფიციალური ცნობით დაღუპულია და დაკარგულია 150-ზე მეტი ახალგაზრდა. ,,ასისტენტი“ დაჭრილია. დაღუპულთა ახლობლებს ეკრძალებოდათ მათი დასაფლავება-დატირება. თბილისის გარნიზონების ჯარების უფროსი -- ,, ბოლო დღეებში ქალაქში ადგილი ჰქონდა ხულიგნურ გამოხდომებს. ვბრძანებ!...“ სტუდქალაქის წინ რუსული ტანკები დადიან. ,,პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება.

თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1955-56 სასწ.წელი. N9 აუდიტორია. პროფ. ი. ხ. ატარებს ლექციას პირველ კურსელებთან პარტიის ისტორიაში.

პროფ. ი.ხ. -- ,, ვის გაქვთ შეკითხვები ან მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით?“

სტუდენტი ვ. კ. - ,,ბოლშევიკები გლეხებს მიწების გადაცემას შეპირდნენ, მაგრამ რაც ჰქონდათ, ისიც წაართვეს!..“

პროფ. ი.ხ. -- ,, თქვენ როგორც ჩანს, ცალკე კაბინეტში გჭირდებათ დალაპარაკება!“

ისევ უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი. ლექციას ატარებს პროფ. ვ. დ. საკურსო რეფერენტებთან დაკავშირებით.

სტუდენტი ბ. -- ,,ბატონო პროფესორო, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი ერთობ შეზღუდულია, კულტურული ავტონომიის დონეზე, ხოლო საკურსო რეფერატების თემატიკა დოგმატური.“

პროფ. ვ. დ. -- ,,ყმაწვილო, თქვენ წინ უნდა გაიხედოთ. ამ მოსაზრებებით შორს ვერ წახვალთ!“

XX საუკუნის 60-იანი წლები. საქართველო.

პატრიოტები -- ,,ვითომ გვეშველება რამე?“ ..

მოსკოვი. კრემლი. სკკპ ცენტრალური კომიტეტი -- ,,დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს!“

თბილისი. 60-იანი წლები. ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა. მიმდინარეობს კათედრის სხდომა.

კათედრის გამგე პროფესორი ეროდი (დაბალი, შემპარავი ხმით) -- ,,ამა თვის 13-ში დავესწარი ჩემი ასისტენტის მეცადინეობას სემინარზე. მან გამოიძახა სტუდენტი ცნობილაძე, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა სემინარის თემაზე და საერთოდ საგანზე. ეს დაშვებელია! ასეთი მუშაობით (მიმართვა ასისტენტს) შენ აქ პერსპექტივა არ გექნება!“

ასისტენტი -- ,,ბატონო ეროდი, ამ სტუდენტს მისაღებ გამოცდაზე თქვენ საგანში ხომ ფრიადი დაუწერეთ!...“

კათედრის გამგე (გაფითრებული) --,,ფრიადი?... ჰო, ცნობილაძეს? ხუთიანი, ალბათ..ჰო, ვერ ვიხსენებ..კარგი.უშეცდომო არავინაა.. ვოლოდი, (მიმართავს ,,სასწავლო კაბინეტის“ გამგეს) შემდეგი განსახილველი საკითხი რა არის?“

ვოლოდი -- ,,ამხანაგო.. ამხანაგო ეროდი (მიმართვა ტერმინით, ,,ბატონო“ ეს-ეს იყო მკვიდრდებოდა საზოგადოებაში, მაგრამ მას, როგორც პარტიის ძველი გვარდიის წარმომადგენელს, ეხამუშებოდა ამ პატივით მიმართვა), ამ კათედრაზე ჩვენ ყველანი პარტიის წევრები ვართ ერთის გარდა (ასისტენტისკენ გააპარა მზერა), ერთი კოლექტივი ვართ, ძველი მეგობრები და მგონი არაფერია დასამალავი!“

ასისტენტი (თავისთვის) --,,ვაი, რა ძნელი ყოფილა ფრენა შეჭრილი ფრთებით,სიცოცხლე, როცა გკლავენ და მაინც ცოცხალი რჩები, რა საშინელი ყოფილა ჩემო რწმენავ და ხატო, როდესაც ხატვა არ გინდა და მაინც უნდა ხატო“

ეროდი --,,რამეს ამბობდი?“ -იჭვნეულად უყურებს ასისტენტს.

ასისტენტი -- ,,არა, ბატონო ეროდი, არა, უბრალოდ..მარქსის დებულება გავიხსენე!“

ეროდი (იჭვნეულად) -- ,,ჰოო“

ასისტენტი (გულში) -- ,,მარქსი რომ თარგმნეს ჩვენში მალულად, მიტომ დაგ... მაქსიმალურად!“

ეროდი -- ,, ჰოო, კაცო აღარ იტყვი რა საკითხია?“ -იხედება ვოლოდისკენ.

ვოლოდი -- ,, აი, ზემოდან რომ დაგირეკეს იმ სტუდენტზე, ცუდი ნიშანი რომ დაუწერე (ეროდისკენ გადაიწია და ყურში ჩასჩურჩულა)

ეროდი -- ,,ჰო, მომეცი ახალი უწყისი“

ვოლოდი ახალ საგამოცდო ფურცელს აძლევს.

ироდი მასში ,,ზემოდან დარეკილ“ სტუდენტს ფრიადს უწერს, ხოლო ძველ უწყისს ხევს და ნაგვის ურნაში აგდებს.

ироди -- ,,დღეს ამით დავამთავროთ მუშაობა. სალაროში ხელფასია და აღება არ დაგავიწყდეთ.“

კათედრის წევრები კარებში საჩქაროდ გადიან. ასისტენტი აივნზე გადის.(ვოლოდი მას ვერ ამჩნევს). მერე უკანვე შემოდის და ხედავს, ვოლოდს სანაგვედან ამოუღია ,,ძველი მეგობრის“ ამხანაგ ироდის მიერ დახეული უწყისი და მაგიდაზე ერთმანეთზე გულმოდგინედ აწებებს. ასისტენტი ვითომ ვერაფერს ამჩნევს, კარებში გადის და კაბინეტში დაბნეულსა და გაწითლებულ ვოლოდის ტოვებს.

მეორე დღე. უმაღლესი სასწავლებლის დიდი სააქტო დარბაზი. ,,ღია პარტიული კრების“მოლოდინში თანამშრომლები სკამზე მოკალათებულან. წინა რიგებში სასწავლებლის თვალსაჩინო პირები სხედან, მოჩვენებითი თავმდაბლობით დარბაზში ახლადშემოსულ თანამშრომლებს ესალმებიან. პრეზიდიუმის მაგიდასთან ზის რამდენიმე პირი, მათ შორის ,,პარტბიუროს მდივანი“, რომელიც კრებას არ იწყებს, ელოდებიან სასწავლებლის რექტორს. დარბაზში ისმის ჩუმი საუბარი, სიცილი, ზოგიერთი პოლიტიკურ ანეგდოტს ჰყვება ახალგაზრდები უკანა სკამებზე განლაგებულან, რომ კრების დამთავრებისთანავე (თუ მოახერხებენ დამთავრებამდეც), დატოვონ დარბაზი და ,,თავის საქმეს“ მიხედონ. კრების მონაწილეთა შორის ჩანს კათედრის გამგე ироди, აგრეთვე ვოლოდი და კათედრის სხვა წევრებიც. მათ შორის მოჩანს ასისტენტიც.

დარბაზის მარჯვენა ფლანგზე დამსხდარან ასაკოვანი ადამიანებიც, პარტიის ძველი გვარდიის წარმომადგენლები და ჩუმად ბაასობენ. ,,ხანდაზმულთა შორის არის არიქა, და არის ბრიყვი და არის ბრძენი,ფერდაკარგული ჭკუას არიგებს ახალგაზრდობას თაობა ძველი, და როცა აზრებს აფრქვევს მედუქნე, როცა კვერს უკრავს მას პროფესორი, -- ნეტავ რად უნდა ჭაბუკს ქედუხრელს, გამოცდილება ხნიერი მონის?!“

სასწავლებლის რექტორი მედიდურად შემოდის და ადგილს იჭერს დარბაზის წინა რიგში. ,,პარტბიუროს მდივანი“ კრებას იწყებს: ,,ამხანაგებო, გთხოვთ დაასახელოთ კრების თავმჯდომარე!“

მორჩილაძე -- ,,მე ვასახელებ ამხ....ბატონ კოტეს!“

კოტე უკმაყოფილოდ იმზირება დამსახელებლისკენ, ვითომ ძალზე სწყინს! ლაბადას და პორტფელს სკამზე ტოვებს და კენჭისყრის შემდეგ მაგიდისკენ მიემართება.

კრების თავჯ-რე --,, ამხანაგებო, ავირჩიოთ კრების მდივანი.“

პარტიის წევრი ხონელი --,,ვასახელებ ამხ. მერის!“

ქალბატონი მერი (მართლა გაბრაზებული) -- ,, ჩემს მეტს ვერავის ხედავთ? მე პროფესიით კრების მდივნობის ინსტიტუტი კი არ დამიმთავრებია! მუდამ მე რატომ უნდა ვწერო კრების ოქმები?!“

და იწყება ,,ღია პარტიული“ კრება!.. ,,თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით, და გარეშე ყოველგვარი ხათრის... განსწავლულის (ეს რა ვნახე!) პრეტენზიით ტრიბუნაზე უწიგნური ადის! თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით და გარეშე ცეროდენა ხათრის, პატრიოტის (ვიღუპებით)

პრეტენზიით ტრიბუნაზე უცხო თესლი ადის! თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით და ტყუილში ქურციკივით მარდი, ქველმოქმედის (დავიღუპეთ!) --პრეტენზიით ტრიბუნაზე მატრაბაზი ადის! და..გექნებათ შემჩნეული ალბათ, ჩაწყობანი როცა ხდება კარტის, ზოგიერთი ვინც ვერ უძლებს ამას, დარბაზიდან ფეხაკრებრით გადის.“

კრებამ ამოწურა დღის წესრიგი და ის იყო თავმჯდომარეს უნდა გამოეცხადებინა კრების დახურვა, როცა კრების ერთ-ერთმა მონაწილემ ზაქარიამ, არც აცივა და არც აცხელა, თავმჯდომარეს ჯიქურ ჰკითხა: ,,ამხანაგო თავმჯდომარევ, გთხოვთ ამიხსნათ, რა არის ბოლოს და ბოლოს ,,პიროვნების კულტი?“

თავმჯდომარე --,,პასუხს ამ კითხვაზე ვთხოვ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგეს, პროფ. ეროდის.

(პროფ. ეროდი თავს მიიჩევდა დიქტატორის თაყვანისმცემლად).

ეროდი -- ,, იცით რას გეტყვით? თავი დამანებეთ, მე ჩემი გაჭირვება მეყოფა!“

კრება წამიერად გაიყინა, გაშეშდა, რასაც ბოლოს აქა-იქ ფარული ფრუტუნი მოჰყვა, ზოგმა კი საერთოდ ვეღარ გაუძლო და დარბაზიდან სიცილით გავარდა.

თავმჯდომარე --,,ამხანაგებო, კრება დასრულებულია!“

მოსკოვი 1964წ. ,,დურაჩოკი“ სურათს იღებს ერთ-ერთ ,,რამკიან“ ქურდთან -- ,,პარტია ხალხთან ახლოს უნდა იყოს!“

სკკპ ცენტრალური კომიტეტი --,,პარტია ჩვენს რიგებში არ მოითმენს ვოლუნტარისტებსა და სუბიექტივისტებს!“ .

სოჭში აპატიმრებენ ,,დურაჩოკს“. საქართველოში ზეიმია.

მოსკოვი. 1980 -იანი წლები.

კომუნისტები -- ,,ქვეყანა ცხოვრებას ასე ვერ გააგრძელებს, ჩვენ გვჭირდება ,,პერესტროიკა“, მხოლოდ წინ, -- გადაშენებისკენ!“

თბილისი.

პატრიოტები -- ,,ქართველებო, გამოფხიზლდით, ევროპისკენ! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ჩვენი ხსნა მხოლოდ <ნატოშია!>“

წითელი ინტელიგენტები (გულზე მჯიღებს იშენენ ტირილით) -- ,,ჩვენც გვინდა დამოუკიდებლობა, ნატოც, მაგრამ გაიხედეთ იქით ირანი, აქეთ თურქეთი ,-- გადაგვყლაპავენ!“

თბილისი, 1989 წლის 9 აპრილის ღამე. რუსთაველის გამზირი. რუსმა ჯარისკაცებმა მოკლეს 19 მომიტინგე.

თბილისი. რუსთაველის გამზირი. მთავრობის სასახლე. მიტინგი. ისმის სტვენის ხმა და გუგუნი. შეძახილები : ,,ზვიადი! ზვიადი!“

თბილისი, 1991 წელი. 9 აპრილი. ,,გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ ფრიალებს სამფეროვანი ღვინისფერი დროშა. ქვეყანა ზეიმობს თავისუფლებას.

სცენაზე გამოდიან ,,დაბნეულები“ და ფსევდო პატრიოტები -- ,,ჯერ დემოკრატია, მერე დამოუკიდებლობა!“, ,,ჩვენ არ გვჭირდება კერპები და ბელადები!“ ,,თავისუფლება იოსელიანს!“ აფრიალებენ პლაკატს : ,,ძირს პროვინციული ფაშიზმი!“ ,,ჩაუშესკუ, ჩაუშესკუ!“ ...

წითელი ინტელიგენცია -- ზვიად გამსახურდიას -- ,, გადადექი!“

მთავრობის სასახლე ნაძირალების ალყაშია.

პირველი პრეზიდენტი -- ,,არ ესროლოთ, ისინი ჩვენი თანამემამულეები არიან!“

მოსჩანს დამწვარი მთავრობის სასახლე.

პატრიოტი -- ,, მე თქვენ მოგელანდებით !“

ბელორუსია, ბელოვეშჩენსკაია,1991 წლის 26 დეკემბერი -- სსრ კავშირი ოფიციალურად დაიშალა. ევროპამ თავისუფლად ამოისუნთქა!

თბილისი. 1992წ. აეროპორტი. ფსევდო-პატრიოტები (ყვავილებით ხელში) -- ,,სალამი დიდ პოლიტიკოსს!“

,,დიდი პოლიტიკოსი“ -- ,,მივესალმები სახელოვან ქართულ ინტელიგენციას!“ ,,მზე ჩრდილოეთიდან ამოდის!“ ,,ადგილზე ნაბიჯით იარ!“ მიმართულება ,,ესენგესაკენ!“

1993 წ. დევნილი პრეზიდენტი საეჭვო გარემოებაში იღუპება!

პატრიოტები -- ,, ვაი ჩვენი ბრალი...მერამდენედ?!“

1993 წ. იანვარი. ,,ავტომატიანი პროფესორი“ ლექციაზე -- ,,უნდა ვაღიარო ჩემი სულმოკლეობა - საკუთარი წიგნის გამოცემის სანაცვლოდ, სამეგრელოს საზღვარი კოდორიდან ენგურამდე გადმოვიტანე.“

თბილისი. 21 -ე საუკუნის დასაწყისი.

ახალი პატრიოტები -- ,,საქართველო ერთი კაცის გარეშე!“ კმარა! გაუმარჯოს ვარდების რევოლუციას ! ჩვენი ხსნა ევროპაშია ! <ნატოსკენ! > “

ფსევდო პატრიოტები -- ,,მოგვენგრა კისერი ნატოსკენ ცქერით..ჯვარი ხომ არ დაგვიწერია მათზე?!“

სცენაზე გამოდიან ე.წ. ,,დაბნეულები”, ანარქო-კრიმინალები, ,,ჩაცუცქულები“, მედროვეები, ამბიციებით დაავადებულები, კარიერისტები, დაბოლილები, ჩაქცეულები და დაქცეულები.

ისმის შეძახილები: ,,ჩვენი მომავალი ჩრდილოეთშია!“ აფრიალებენ დროშებს. ,,მე 120 მანათი მქონდა პენცია!“ ..,, ეჰ, რა აწყობილი ქვეყანა დაანგრიეს?!“.. ,,მოსკოვამდე თვითმფრინავის ბილეთი 37 მანეთი ღირდა!“ ,,ვაი თქვენს პა-ა-ტრონს!“, ,,მაოძედუმი“ გენიოსი იყო!“ ,,რა შეასრულეს ვარდების ბელადებმა?“ ,,სადაა დაპირებული ცხოვრება?“ ,,რუსთაველზე ჭადრები აჩეხეს!“ ,,ბორჯომის წყალი გვარჩენს ჩვე-ე-ნ?!“, ,,ომი მაგან დეიწყო და პასუხიც მაგან აგოს!“ ,,გინახავთ კომუნისტების დროს მათხოვრები?!“ ,, მე არ მინდა სოროსის მიერ აშენებულ ქვეყანაში ცხოვრება!“ , ,,ამერიკა შორსაა, ბიძია, -- რუსეთი ახლოს!“ ,,გყოფნის პენსია?“, ,,იმ დაგებულ გზებზე თვითონვე დადიან!“ ,,ახლა მარტო ,,ბიზმესმენები“ ცხოვრობენ კარგად!“, ,,რას მაძლევს მე დამოუკიდებლობა?!“ ,,დამოუკიდებლები სასაფლაოზე წვანან!“ ,,რუსეთს ჩვენ მოვერევით?!“ ,,პლეხანოვი დაანგრიეს!“

მოულოდნელად სცენაზე გამოდის გამხდარი მამაკაცი (ღიმილით).

ოლიგარქი -- ,,ჭიტაა!“

მთელი მასა მისკენ შებრუნდება და გაკვირვებული უყურებს.

,,დიდი პოლიტიკოსი“ -- ,,გამოჩნდა საქართველოს მხსნელი!“

ხალიანი პოლიტიკოსი - ,,გვე შვე ლა“!

ოლიგარქი -- ,,ერთი კაცი გვიშლის ხელს, მას მშვიდობიანად გავაძევებთ...ყველაფერი კარგად იქნება!

ცინ-ცან-ძე - ,,ჩვენს მოედანზე მოთამაშე მოწინააღმდეგეები წააგებენ!“

ოლიგარქი -- ,,მე არ ვენდობი ,,ენდეი და არაის“ კვლევას.“

ერთი მოქალაქე მეორეს --,,ვინ არის ეს ენდიაი და არაი“

მეორე მოქალაქე -- ,,ცხოვრებაში არ გამიგონია!“

თბილისი, 2012წლის 1 ოქტომბერი. საპარლამენტო არჩევნები. ,,ნაციონალები“ მარცხდებიან. ,,ქართული ოცნება“ იმარჯვებს.

ოლიგარქი -- ,,ჩვენ პრეზიდენტს მშვიდობიანად გავუშვებთ! 5 მილიონი თითოეულ სოფელს! უფასო ფული! განახევრებული გადასახადები! 100 ქარხანა!“ პირველი წელი.....

2012 წელი, 10 ოქტომბერი. პრეზიდენტი და ოლიგარქი პრეზიდენტის სასახლეში ხელს ართმევენ და ხალხს მიმართავენ: ,, ჩვენ შევალთ ნატოში!“

არჩეულია ქვეყნის პრემიერმინისტრი, იწყება პოლიტიკური დევნა. აპატიმრებენ ,,ნაციონალების“ მომხრეებს და მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირებს, თავდაცვის ყოფილ მინისტრსა და თავდაცვის გენერალური შტაბის უფროსს.

ქვეყნის პროკურორი -- ,,გენშტაბის უფროსის თანდასწრებით ამცირებდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ ჯარისკაცებს. თავდაცვის მინისტრი კი ,,ვაშლის სათლელი“ დანის ტარით თავში ურტყამდა..“

საზოგადოებაში გაუგებრობაა -- ,,რა ხდება? სადამდე გაგრძელდება ეს დაჭერები?“

ახალგაზრდა ნაციონალი -- ,,იუსტიციის მინისტრის მამამ კომუნისტების დროს ოც ადამიანს გამოუტანა სიკვდილის განაჩენი!“

,,ოცნების“ მომხრე -- ,,შვილი მამის დანაშაულისთვის პასუხს არ აგებს!“

მსოფლიო პრესა -- ,,რა ხდება საქართველოში?!“

გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“ -- ,,არნახული დემოკრატია!“

ერევანი. საქართველოს პრემიერმინისტრი -- ,,სომხეთის პოლიტიკურ კურსს შევყურებ ,,თეთრი შურით!“

პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენლები -- ,,ხალხო, რა ხდება, იცვლება საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია? აბა, სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ეს განცხადება..“

პოლიტოლოგი -- ,,ეს განცხდება მისი გამოუცდელობის ამბავია...“

,,ხალიანი პოლიტიკოსი“ პრეზიდენტობის კანდიდატი, იგივე თავდაცვის მინისტრი (თავის უწყებაში) --,, დამიჭერთ თუ არა მხარს პრეზიდენტობის ვაკანსიაზე?“

სამხედრო უწყება გაჩუმებულია!

პრემიერმინისტრი --,, თავდაცვის მინისტრმა მცირე შეცდომა დაუშვა, პერსპექტივაზე ჩემს გარეშე დაიწყო მკითხაობა. იგი გათავისუფლებულია პრემიერმინისტრის მოადგილის თანამდებობიდან. სჯობს, მან თავის უწყებას მიხედოს!“ იწყება ,,კაბელების საქმე“.

ცინ-ცან-ძე -- ,,პრემიერმინისტრის ნიჩაბზე, კიდევ სხვა მინისტრებიც აღმოჩნდებიან!“

საგარეო საქმეთა მინისტრი ჩატუ -- ,, ჩვენი ურყევი გზაა ნატო და ევროპული კავშირები!“

პატრიოტები -- ხალხო, მწარედ გვატყუებენ, ,,ოცნების“ სურვილია რუსეთთან კავშირი, ახალი ,,დესეთე!“

შვიდი წლის შემდეგ.

თბილისი, რუსთაველის გამზირი, პარლამენტის შენობის წინა მოედანი. მიტინგი დამთავრებულია. ხალხის ჭრელი შემადგენლობა. ,,დაბნეულების“ რაოდენობა გაზრდილია.

ისმის ფრაზები: ,,გავრილოვის ღამეს აქ არ ვიყავი“.. ,,რა ისმის მიშასგან?“ ,,სექტემბერში პენსიას ზრდიანო?“... ,, ამ მთავრობის ხელში არაფერი გვეშველება“.. ,,ხელი გაანძრიე და გექნება“.. ,,ველარ გავიგე რაია ოცი-ოცი!“... ,,შევარდნაძემ ბერლინის კედელი დაანგრია“...,,ნაცები ქუჩაში ხალხს ხოცავდნენ“ ..,,ყველა ქალაქისკენ გამორბის“...,,კოჰაბიტაციამ დაღუპა ქვეყანა!“...,,ივანიშვილი ხეებს ეზიდება!“.. ,,რაც ჩანს ყოლიფერი ნაცებმა გააკეთეს!“ ..,,მე თქვენ დაგასრულებთო?!“...,, ერთი კაცის ხელშია მთელი ძალაუფლება!“ ,,წითელი ინტელიგენცია გაყუჩებულია!“ ...,,ზღაპარია აფხაზეთის დაბრუნება!“ ...,,კი, რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ....“ რამ შეატრიალა ეს კაცი, არ ვიცი!“... ,,ფულს იმას აძლევს, ვინც ჭირდება“...,,ბათუმი თურქებით გაივსო!“...,,არჩევნები კრიმინალებმა მეიგეს“...

აქა-იქ დისკუსია იმართება.

ქუდიანი მოქალაქე -- ,, საბჭოთა კავშირი არ უნდა დან-გრე-უ-ლი-ყო!“

სათვალებიანი მოქალაქე -- ,,თქვენ ღმერთი გწამთ?“

ქუდიანი მოქალაქე -- ,,აბა როგორ?!“

სათვალებიანი მოქალაქე -- და თქვენ მისტირით ათეისტურ სახელმწიფოს?“

ქუდიანი მოქალაქე -- ,,ვისაც სწამდა შეეძლო..“

სათვალებიანი მოქალაქე (აწყვეტინებს) -- ,,კომუნისტებმა 200 000 სამღვდელოება გაჟლიტა რუსეთში!“

ქუდიანი მოქალაქე --,,არ ვიცი!“

სათვალებიანი მოქალაქე --,,პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში საბჭოთა კავშირში 7 მილიონამდე ადამიანი დახვრიტეს, ეს იცი?!“

ქუდიანი მოქალაქე -- ,,მაგი ტყუილი იქნება!“

...და ასე გრძელდება: ზოგი მოჭორილი, ზოგი დაუსრულებელი, ზოგი დაუჯერებელი, ზოგი საზარელი, დამაიმედებელი ახირებული, ჩახლართული, დახლართული და ა.შ.

ხალხის ნაწილი მოედანს ტოვებს და სახლისკენ მიდის. ნაწილი ფეხს ითრევს, დაკავებულ ადგილს ზანტად ტოვებს, ან საერთოდ ადგილიდან არ იძვრის. მოედანი ნაომარ ველს გავს. ჯერ კიდევ მიტინგზე გამომსვლელების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებიან. მომიტინგეთა დარჩენილ მასას ადამიანების ახალი ტალღა ერწყმის, ზოგი დაგვიანებული მგზავრივით ადგილს ტკეპნის. ქუჩაში ტრანსპორტის მოძრაობა ნელ-ნელა აღდგა. ხალხმა ტროტუარისკენ გადაინაცვლა.

ახალგაზრდა ჟურნალისტი გოგონა და მაღალ-მაღალი ოპერატორი ვაჟი, თითქოს რაღაცის მოლოდინში არიან, ადგილზე მოძრაობენ. აქა-იქ დისკუსია ისევ იმართება.

ნაციონალი მოქალაქე -- ,,მიშამ ელექტროფიკაცია განახორციელა და ჩაბნელებული ქვეყანა გაანათა!“

,,მეოცნებე“ (ირონიით) -- ,,დიდი რამე! ოცდამეერთე საუკუნეში ელექტროენერგია, ხახახა!“

პირველი მოქალაქე -- ,,ნაციონალებმა კორუფცია მოსპეს!“

მოპაექრე -- ,,კი, დაბალ დონეზე!“

პირველი მოქალაქე (ირონიული ღიმილით) -- ხო, მაღლა ვერ შეწვდნენ!“

,,მეოცნებე“ მოქალაქე -- ,,მიშამ 20 მილიონილ წაიღო!“

მოპაექრე -- ,,ხო, როგორ ზიდა ამდენი, შენ ხომ არ დაეხმარე?!“

წვერებიანი მოქალაქე - (კილოზე ეტყობა დიდი ხნის ჩამოსული არ უნდა იყოს სოფლიდან) - ,,სააკაშვილმა სოფლის მეურნეობა დაანგრია!“

ახალგაზრდა -- ,,ხო, აზიური ფაროსანაც მიშამ გამოდევნა საქართველოსკენ!“

მეორე ახალგაზრდა -- ,,ყველაზე დიდი ფაროსანა იცი ვინ არის?“

ქუჩაში მოულოდნელად ახალ ჯგუფი გამოჩნდა.

,,არავისტები“ -- ,,ჩვენ არავისტები ვართ, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, არც ჩრდილოეთი, არც დასავლეთი! ჩვენ საქართველოისტები ვართ!“ აფრიალებენ რუსეთის დროშებს.

მღერიან -- ,,შვედეთი და იმგნეთი, ავსტრია და ფინეთი!“

გამვლელი მოქალაქე -- ,,რა ხდება?“

მეორე მოქალაქე -- ,,ნეიტრალურ ქვეყნებს უმღერიან.“

სათვალებიანი მოქალაქე - ,,ოქროს გალიაში ვიქნებით გამომწყვდეული!“

ჩია, კაფანდარა მამაკაცი (ყველაფერს, რაც მის ირგვლივ ხდება, გაკვირვებული უყურებს) -- ,,არ დავეძებ... იმგენს მაინც ამგენი მირჩევნია..“

,,საქართველოისტები ისევ აგრძელებენ სიმღერას -- შვეცია და...“

ჟურნალისტ გოგონას როგორც ჩანს, მობეზრდა სიტუაცია და ახლო-მახლო ბორდიურზე მჯდომ ხანდაზმული მამაკაცისკენ გადაინაცვლა.

-- ,,ბატონო, თქვენც შეწუხებულხართ და მოსულხართ მიტინგზე“...

ხანდაზმული მოქალაქე -- ,,მე ათეული წლებია აქ დავდივარ.“

ჟურნალისტი -- ,,როგორ?“

ხანდაზმული მოქალაქე --,,1956 წლის 9 მარტს, მე, პირველი კურსის სტუდენტი, დიქტატორის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიტინგზე ვიყავი. ღამის 12 საათზე თბილისის გარნიზონის ჯარების ნაწილებმა ალყაში მოგვაქციეს. მე მარჯვენა მხარში დამჭრეს. პანიკა დაიწყო. გზა კიბეებისკენ და ,,ვორონცოვის“ ხიდისკენ გახსნეს. შეუძლებელია იმის აღწერა, თუ როგორ გადადიოდა ხალხი ერთმანეთზე. შემდეგ სროლაც დაიწყო...“

ჟურნალისტი -- ,,ბევრი დახოცეს?“

ხანდაზმული მოქალაქე --,,აქ არა. მე მხოლოდ ორი დაჭრილი ვიცი და ერთიც მომაკვდავი, ხიდის ბოლოში აფთიაქის დახლზე დასვენებული, დახოცილები ,,დომ სვიაზთან“ იყო...

ჟურნალისტი -- ,,ჩემთვის სიურპრიზია... არ მეგონა თუ 9 მარტის ამბების მონაწილეს ვნახავდი.

ხანდაზმული მოქალაქე -- ,,როცა ეროვნული მოძრაობა დაიწყო, არ გამომიტოვებია არცერთი დემონსტრაცია“.

ჟურნალისტი -- ,,ბატონო, ასეთი წარსულის მქონე ადამიანი, რატომ არ გამოხვედით მიტინგზე მიკროფონით?“

ხანდაზმული მოქალაქე --,,მიტინგზე გამოსულ ორატორს სჭირდება პათოსი, ახალგაზრდული ენერგია და შემართება...რაც ჩემი ასაკისთვის... ხოლო აკადემიური თხრობა და ლექცია ამ სიტუაციაში მოსაბეზრებელია“...

ჟურნალისტი -- ,,ჩრდილში ყოფნას ამჯობინებთ?“

ხანდაზმული მოქალაქე --,, მე ბავშვობიდან ჩრდილში ვიდექი.“

ჟურნალისტი -- ,,რატომ?“

ხანდაზმული მოქალაქე --,,მამაჩემი 1924 წლის ცნობილი აჯანყების მონაწილე იყო. 1937 -ში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა. მე თავს აღვიქვამდი ,,ხალხის მტრის“ შვილად, რაც ბუნებრივია ჩემს ნებას ზღუდავდა. სიმართლე გვიან გავიგე...“

ჟურნალისტი -- ,,რაზე გწყდებათ გული?“

ხანდაზმული მოქალაქე -- ,,რუსეთის მიერ ჩვენი მიწების ოკუპაციაზე, ერის დემოგრაფიულ პრობლემაზე, იმაზე, რომ 2012 წლიდან ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისა და აღმშენებლობის პროცესი შეფერხდა. როგორ შეეძლო იმ ,,წყეულ“ წინა ხელისუფლებას ერთი ხელის დაკვრით გარდაექმნა ათეული წლების განმავლობაში კორუფციის ჭაობში მყოფი სასამართლო სისტემა. თანამედროვე ხელისუფლება ,,იმ“ ხელისუფლებაში ხედავს მხოლოდ დესტრუქციულ მოვლენებს და თვალებს ხუჭავს პოზიტიურზე. ძნელად დასაჯერებელია მტკიცება, რომ იმ დროს დემოკრატია არ იყო! -- აბა როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ რუსთაველის გამზირი კვირეების განმავლობაში იყო ოპოზიციონერების მიერ გადაკეტილი? პოლიცია არბევდა მიტინგებსო... მე

კარგად მახსოვს, რომ ხალხის ერთი ჯგუფი თავს დაესხა პოლიციას და ცდილობდა მათ დისლოკაციის ეზოში გადასვლას! კარგად მახსოვს ,,ქრისტიან დემოკრატები“ ბელადის ტელევიზიაში გამოსვლა ,,მამხილებელი“ დიაგრამებითა და ბანერებით! ყველას გვახარებდა მცხეთისა და სიღნაღის, თბილისისა და ბათუმის, თელავის და ახალციხის რესტავრაცია. ბევრმა აღიარა შეცდომები და პოლიტიკიდან ,,კუდამოძუებული“ წავიდა, მაგრამ ,,მავრმა თავისი საქმე გააკეთა და მავრი წავიდა!“

სამწუხაროდ, დღეს არსებულ ხელისუფლებაში ვხედავ ამაღლებული იდეალების დეფიციტს. საკუთარ კეთილდღეობაზე და კომფორტზე უფრო ენერგიულად ზრუნავენ, ვიდრე ხალხისა და ქვეყნის გასაჭირზე. საერთოდ გაუგებარია რას ნიშნავს ,,ქართული ოცნება“. ხელისუფლებაში მოსვლისას პოლიტიკურმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს ქვეყნის განვითარების რეალური და მკაფიო პროგრამა, ხოლო ოცნება გასათხოვარ გოგონებსა და საცოლე ვაჟებს დაუთმონ!“

ჟურნალისტი -- ,,ბატონო, ,,ოლიგარქმა“ დიდი თანხები ჩადო ქვეყნის განვითარებისათვის. უმადურობა ხომ არ იქნება...“

ხანდაზმული მოქალაქე -- ,,ქველმოქმედება უანგარობას უნდა ეფუძნებოდეს! როცა სამაგიეროს მოითხოვ, ეს უკვე სულ სხვაა...“

ჟურნალისტი -- ,,რა გაქვთ მხედველობაში?“

ხანდაზმული მოქალაქე -- სამაგიეროდ ოლიგარქი ქვეყნისა და ხელისუფლების ერთპიროვნული პატრონი გახდა! დავძენ, რომ ქვეყნის სუვერენიტეტს ალტერნატივა არ გააჩნია!“

ჟურნალისტი -- ,, სხვა რამეს იტყვით, ბატონო?“

ხანდაზმული მოქალაქე --,,ბევრი ნიჭიერი, განათლებული ახალგაზრდა პოლიტიკოსი და პოლიტილოგი გვყავს, მაკვირვებს კიდეც მათი ტალანტისა და განათლების ჰორიზონტი, მაგრამ ერთი რამ კი დაბეჯითებით მინდა ვთქვა: ნახევარ სიმართლეს სიცრუე სჯობია! არასწორი წანამძღვრებიდან სწორ დასკვნებს ნუ ელოდებით! ორი ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ერთია!“

ჟურნალისტი -- ,, დიდი მადლობა საუბრისათვის!“

ფარდა ნელ-ნელა ეშვება...

საიდანღაც, როგორც სახელმწიფო ჰიმნი, ყრუდ გაისმის ,,არავისტების“ სიმღერა -- ,,შვეცია და იმგნეთი, ავსტრია და ფინეთი!“....

ფარდა იხურება.

ბიძინა ჭყონია.